დანართი 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა და სადისერტაციო საბჭო

მუხლი 1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის მიზანი

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა, ანუ უმაღლესი განათლების მესამე საფეხური მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 2. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.
2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.

მუხლი 3. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თანამდებობის პირები

1. სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, ორი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წევრთა არანაკლებ სამ კაციან ჯგუფს კანდიდატის წინასწარი თანხმობით.
3. სადისერტაციო საბჭოს მდივანს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით ირჩევს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 4. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილებანი და მუშაობის წესი

1. სადისერტაციო საბჭო:
   ა) შესაბამისი მიმართულების ან სრული პროფესორის წინადადებით განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამეის შინაარსს და აცხადებს სადოქტორო პროგრამას;

   ბ) წყვეტს დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხებს;
   გ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;

   დ) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის თაობაზე;

   ე) ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, წელიწადში სულ ცოტა ორჯერ მაინც.
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა არანაკლებ 2/3, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით.
5. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა სამი წევრის წინადადებით.

თავი II იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 5. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირს.
2. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს.

მუხლი 6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი და წინაპირობები

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში პირი ჩაირიცხება სადოქტორო პროგრამაში.

2. დოქტორანტობის კანდიდატმა თსუ-ის რექტორის სახელზე იურიდიული ფაკულტეტის მიმღებ კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება და შესაბამისი დოკუმენტებით თანდართული განაცხადი (იხ. დანართი №1).
3. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებაზე გადის იურიდიული ფაკულტეტის წარდგინებით თსუ-ის რექტორის აქტით შექმნილ იურიდიული ფაკულტეტის დარგობრივ კომისიაში. კომისიას კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო შუამდგომლობას დოქტორანტობის კანდიდატის მიერ შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატი. შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალობა და მნიშვნელობა.
4. პირი დოქტორანტურაში ჩარიცხულად ჩაითვლება და მისი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) დაინიშნება, თუ დია კენჭისყრისას მას მხარს დაუჭერს დარგობრივი კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
5. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი – ან ინგლისური ან გერმანული ან ფრანგული ენის B^2 დონეზე ცოდნა. უცხო ენის B^2 დონეზე ცოდნის განმარტება, შესაბამისი სერთიფიკატებისა და ქულების ნუსხა (იხ. დანართი №2).
6. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B^2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
7. ქართული და უცხო ენის გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი.
8. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება თსუ–ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აგრეთვე სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.
3. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 8. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

მუხლი 9. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტობის სტატუსი შეუწყდეს:

   ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

   ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;

   გ) დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში;

   დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით, თუ მას მიაჩნია, რომ დოქტორანტი სწავლის დარჩენილ პერიოდში ვერ შეასრულებს ინდივიდუალური სასწავლო ან კვლევითი გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2. დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის უფლება აქვთ ფაკულტეტის შესაბამის სამეცნიერო მიმართულებას, სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით დოქტორანტის სტატუსი პირს შეუწყდება თსუ-ის რექტორის აქტით, თუ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დამსწრე წევრთა სულ ცოტა 2/3 მაინც.

მუხლი 10. სადოქტორო პროგრამა

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

2. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

3. იურიდიული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, აქედან სასწავლო კომპონენტი ფასდება 60 კრედიტით, კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტით.

მუხლი 11. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. საასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან.
3. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტთა სასწავლო კომპონენტის სავადებულო ელემენტებია:
   ა) სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი - 5-15 კრედიტი;

ბ) პროფესორის ასისტენტობა – 5-10 კრედიტი;
გ) აკადემიური წერა და კვლევის მეთოდებისა და ხერხების კურსი – 10-20 კრედიტი;

დ) ორი სასემინარო ნაშრომის-კოლოკვიუმის მომზადება და აუდიტორიის წინაშე დაცვა – 15-30 კრედიტი.

4. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტთა სასწავლო კომპონენტის არჩევით ელემენტებად შეიძლება შეთავაზებული იქნას:

ა) მეცნიერების მენეჯმენტი –5 კრედიტი;

ბ) საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები – 5-25 კრედიტი;

გ) პრაქტიკა – 5-10 კრედიტი;

დ) საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი – 5-15 კრედიტი;

ე) სპეციფიკური დარგობრივი კურსები – 5-15 კრედიტი.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში დადგენილი სქემის ფარგლებში, სავალდებულო და საჭიროების შემთხვევაში არჩევითი ელემენტებისათვის კრედიტების რაოდენობას სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს და ასახავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში თავად დოქტორანტი.

6. უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წინადადებით ახდენს სადისერტაციო საბჭო 5-60 კრედიტის ფარგლებში.

მუხლი 12. კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის კურსი

1. კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის კურსი შედგება ლექციათა ციკლისა და ათვისებული მასალის წერითი გამოკითხვისაგან.
2. ფაკულტეტზე დადგენილ ვადებში დოქტორანტმა წერილობითი ფორმით უნდა წარადგინოს:
   ა) სადისერტაციო კვლევაში გამოსაყენებელი სტატიის მოკლე ანალიზი – შეფასება 30 ქულამდე;
   ბ) დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სტრუქტურა – შეფასება 30 ქულამდე;
   გ) დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომში კვლევის დასახული მიზანი, გამოსაყენებელი მეთოდი და სავარაუდო შედეგი – შეფასება 40 ქულამდე.

3. კვლევითი კომპონენტის თანამედროვე მეთოდების კურსი დოქტორანტს ჩაეთვლება, თუ ამ მუხლის 2ᵃ – 2ᵇ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნაშრომები ჯამურად 50-ზე მეტი ქულით შეფასდება.

მუხლი 13. სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი

1. კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის კურსი შედგება ლექციათა ციკლისა და ათვისებული მასალის წერითი გამოკითხვისაგან.
2. იურიდიულ ფაკულტეტზე ჩატარებული ლექციების დასრულების შემდეგ დადგენილ ვადებში დოქტორანტმა წერილობითი ფორმით უნდა წარადგინოს:
   ა) დოქტორანტის კვლევის სფეროში ერთ-ერთი ცნების სისტემური ანალიზი – შეფასება 30 ქულამდე;
   ბ) დოქტორანტის კვლევის ან მომიჯნავე სფეროში კაზუსის შერჩევა და ამოხსნის სქემის შემუშავება – შეფასება 20 ქულამდე;
   გ) პრეზენტაციის უნარის დემონსტრირება – შეფასება 20 ქულამდე.

3. სწავლების თანამედროვე მეთოდების საბაზისო კურსის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის მიმართულება. ამ ელემენტის პედაგოგიკის მიმართულების მიერ განხორციელებული შეფასება შეადგენს საერთო შეფასების ერთ მესამედს (30 ქულამდე).

4. სასწავლო კომპონენტის სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი დოქტორანტს ჩაეთვლება, თუ ამ მუხლის 2ᵃ-2ᵇ ქვეპუნქტებში დადგენილი ნაშრომები ჯამურად 50-ზე მეტი ქულით შეფასდება. ზემოთმოყვანილ ლექციათა კურსის ჩატარებასა და სწავლის კონტროლს განახორციელებს იურიდიული ფაკულტეტი.

მუხლი 14. პროფესორის ასისტენტობა

1. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს დოქტორანტის ვალდებულებას სასწავლო პროცესში დახმარება გაუწიოს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.
2. დოქტორანტის ასისტენტობა შეიძლება შემდეგში გამოიხატოს:
   ა) ბაკალავრიატის სტუდენტთა სამუშაო ჯგუფში სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით მეცადინეობის – სემინარის ჩატარებაში;
   ბ) „საბავშვო უნივერსიტეტის“ მსმენელთათვის „სამართალმცოდნეობის ანბანის“ ლექციათა კურსის ჩატარებაში;
   გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების ან/და ტესტების ან/და კაზუსების მომზადებაში;

   დ) ბაკალავრიატის სტუდენტთა წერითი ნაშრომების გასწორებაში;

   ე) ასევე სხვა შეფასებად კომპონენტში, სადისერტაციო საბჭოსთან შეთანხმებით.

3. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობაა შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება.
4. პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება დოქტორანტის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე (იხ. დანართი №3) იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.
6. კრედიტების რაოდენობა დამოკიდებულია შერჩეული სამუშაოს შესრულების და ამ აქტივობის შესრულებისათვის მოსამზადებლად დახარჯულ დროზე.

მუხლი 15. კოლოკვიუმი – სასემინარო ნაშრომის მომზადება და დაცვა

1. დოქტორანტის კოლოკვიუმი არის დოქტორანტის მოხსენება სადოქტორო სემინარზე და მისი დაცვა.
2. სადოქტორო სემინარი შეიძლება იყოს თსუ-ის სრული ან ასოცირებული პროფესორის მიერ ორგანიზებული საფაკულტეტო, ინტერდისციპლინური ან ინტერფაკულტეტური. სადოქტორო სემინარების ჩატარებას უზრუნველყოფს იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
3. სადოქტორო სემინარზე თსუ-ის ან მოწვეული პროფესორები მსჯელობენ მეცნიერებისა და პრაქტიკის სხვადასხვა წინასწარ დადგენილ თემებზე.
4. სადოქტორო სემინარის ფარგლებში დოქტორანტი ახორციელებს თსუ-ს ერთ-ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაციას და შესაბამისი სასემინარო ნაშრომის დაცვას.
5. კოლოკვიუმის თემა არ უნდა შეადგენდეს სადისერტაციო თემის ნაწილს.
6. სასემინარო ნაშრომის აუდიტორიის წინაშე დაცვა შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე, დოქტორანტის თავისუფალი არჩევანის მიხედვით.
7. სასემინარო ნაშრომის საორიენტაციო მოცულობა 15-20 გვერდია, შესრულებული უნდა იყოს „აკად. ნუსხურით", ფურცლის ზომა A4, ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა – 12, სქოლიოსი – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,0, გვერდის საზღვრები: მარცხნიდან – 2,0 სმ, მარჯვნიდან 4,0 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.
8. სასემინარო ნაშრომისადმი დადგენილი სხვა სახელმძღვანელო მოთხოვნები დადგენილია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 5 მაისის №5 ბრძანებაში „იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო ნაშრომისათვის წაყენებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ".
9. სასემინარო ნაშრომის დადებით შეფასებას (31-60 ქულამდე) და საჯარო დაცვის (20-40 ქულამდე) მისი შინაარსისა და საჯარო დაცვის გათვალისწინებით ახორციელებს სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელი.
10. სასემინარო ნაშრომი ფასდება თსუ-ში დადგენილი 100 ქულიანი სისტემის საფუძველზე.

თავი III. სადისერტაციო საქმის წარმოება

მუხლი 16. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდგომი 1 თვის განმავლობაში დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და სასწავლო კომპონენტის საფაკულტეტო სქემიდან შერჩეული ელემენტების შესრულების სავარაუდო გრაფიკის დასადგენად.
3. სასწავლო კომპონენტისათვის დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ დოქტორანტი ავსებს სპეციალურ ფორმას (იხ. დანართი №4) და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

მუხლი 17. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან 1 თვის განმავლობაში სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ

კვლევით გეგმას (იხ. დანართი №5) და გადასცემს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

2. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად. მასში მოცემული უნდა იყოს სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი სტრუქტურა და მისი შესრულების სავარაუდო გრაფიკი.

მუხლი 18. დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის შედეგს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში.
2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია მისი სხვა ენაზე შესრულება და დაცვა.
3. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
4. სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ტექსტში უნდა იყოს სულ ცოტა 30000 სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართის ან დანართების არსებობა (რომელიც არ შედის 30000 სიტყვაში), ფურცლის ზომა A4, შრიფტი AcadNusx-ური, შრიფტის ზომა 12, სქოლიო 10, სტრიქონებს შორის მანძილი 1,0, გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 2 სმ, მარჯვნიდან 4,0 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

მუხლი 19. დისერტაციის წარდგენა

1. დოქტორანტი იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს გადასცემს დისერტაციის 4 აკინძულ ბეჭდურ და 1 ელექტრონულ PDF ვერსიას კომპაქტური დისკით ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად.
2. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ თემა მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

მუხლი 20. დისერტაციის წარდგენისა და დაცვაზე დაშვების წინაპირობები

1. დისერტაციის წარდგენის წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურება, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც:

   ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

   ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰყავს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი;

   გ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან გადაცემულია დასაბეჭდად: 1) საზღვარგარეთ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში; 2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში; 3) შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო

სამეცნიერო ჟურნალში; 4) საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings);

დ) საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან/და ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გადაცემული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს;

ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ქმნის უცხოელ ექსპერტთა საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მიღებული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას.

2. უცხოელი ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება მისი მხრიდან რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან 3 თვის ვადით. თუ ამ ვადაში რეცენზია არ იქნა მიღებული, გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატია გადაეცემა სარეცენზიოდ და გამოსაქვეყნებლად ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ერთ-ერთ ჟურნალს.

3. დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე: ა) თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში; ბ) თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).

4. საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიის წარმოდგენის და შეფასების შესახებ იხილეთ დანართი №6.

5. გარდა საერთაშორისო გამოხმაურებისა დისერტაციის წარდგინებისა და დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:

ა) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე გასატანად;

ბ) ცნობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

6. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის ქირის გადასახადიდან სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან.

მუხლი 21. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის მიმართულებასთან (ინსტიტუტთან) შეთანხმებით ნიშნავს დისერტაციის ორ შემფასებელს.
2. დისერტაციის შემფასებელი შეიძლება იყოს თსუ-ის სრული ან ასოცირებული პროფესორი. გამონაკლისის სახით შემფასებლად შეიძლება დაინიშნოს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.
3. შემფასებელი დასკვნას სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგენს მისთვის დისერტაციის გადაცემიდან 3 თვის განმავლობაში.
4. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე შემფასებელი თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
   ა) დისერტაციის დადებითად შეფასებისა და დაცვაზე უპირობოდ დაშვების შესახებ;
   ბ) დისერტაციის დადებითად შეფასებისა და დაცვაზე დაშვების შესახებ უმნიშვნელო ხარვეზების გამოსწორების მიზნით;
   გ) შესწორების მიზნით დისერტაციის დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების შესახებ;
   დ) დისერტაციის უარყოფითად შეფასებისა და დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

5. უმნიშვნელო ხარვეზების გამოსწორების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს შემფასებლის შესაბამისი დასკვნის დოქტორანტისათვის გადაცემის დღიდან.
6. შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების შემთხვევაში, დისერტაცია ხელახლა უნდა იყოს წარდგენილი და გადაცემული იმავე შემფასებლებისათვის 1 წლის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე აღარ დაიშვება.
7. თუ ორიდან ერთი შემფასებელი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დაინიშნება მესამე შემფასებელი.
8. თუ შემფასებლებიდან ორი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
9. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებელთა გადაწყვეტილებანი. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე უნდა გავიდეს 1 თვე მაინც.
10. დოქტორანტს ეძლევა უფლება გაეცნოს შემფასებელთა დასკვნებს.
11. დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში, უარყოფილი დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები შეინახება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არქივში.

მუხლი 22. სადისერტაციო კომისია

1. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის მიმართულებასა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ნიშნავს გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სადისერტაციო კომისიის სულ ცოტა სამ წევრს.
2. გარდა იმ პირებისა, რომლებსაც აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და შემფასებლები.
3. სადისერტაციო კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წევრი შეიძლება იყოს როგორც თსუ-ის სრული ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელიც არ არის თსუ-ის რომელიმე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

მუხლი 23. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.
2. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მოქმედი ან საპატიო პროფესორი, რომელიც არ არის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან მისი დისერტაციის შემფასებელი.
3. დაცვის პროცესი შედგება:
   ა) დოქტორანტის მიერ თემის წარმოდგენა-პრეზენტაციისაგან, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, 30 წუთია;
   ბ) შეკითხვებისა და სამეცნიერო კამათისაგან, რომელშიც მონაწილეობენ დისერტაციის შემფასებლები და სამეცნიერო ხელმძღვანელი, სადისერტაციო კომისიის სხვა წევრები და დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც წესი, 60 წუთის განმავლობაში;
   გ) დოქტორანტის 10 წუთიანი დასკვნითი სიტყვისაგან.

4. დაცვის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.
5. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე უშუალოდ დაცვის შემდეგ.
6. ერთი სადისერტაციო კომისიის წინაშე ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს რამოდენიმე დისერტაციის დაცვა.
7. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.
8. დაცვის პროცესის მსვლელობასა და შედეგზე დგება დისერტაციის დაცვის ოქმი. ოქმის წარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისია.

მუხლი 24. შეფასება

1. დისერტაციის შეფასებას ახორციელებენ შემფასებლები.
2. დოქტორანტის მიერ დაცვის შეფასებას ადგენს გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სადისერტაციო კომისიის წევრთა უმრავლესობა დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე. კენჭისყრისას ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. შეფასების პროცესში:
   ა) გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სადისერტაციო კომისიის წევრებს გამოაქვთ ერთ-ერთი შემდეგი შეფასება: „(P) – დაიცვა", „(F) – ვერ დაიცვა";
   ბ) დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუკი მას სადისერტაციო კომისიის გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე კომისია „არადამაკმაყოფილებლად" (41-50 ქულა-insufficienter) ან „სრულიად არადამაკმაყოფილებლად" (41 ქულაზე ნაკლები-sub omni canone) შეაფასებს;
   გ) დისერტაცია დაცულად ითვლება თუკი სადისერტაციო კომისიის გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე კომისია შემდეგნაირად შეაფასებს:

   91-100 – ფრიადი (summa cum laude);

   81-90 – ძალიან კარგი (magna cum laude);

   71-80 – კარგი (cum laude);

   61-70 – საშუალო (bene);

51-60 – დამაკმაყოფილებელი (rite).

დ) შემფასებლების დასკვნაში დადგენილი დისერტაციის შეფასებისას და დისერტაციის დაცვის შეფასების საფუძველზე გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სადისერტაციო კომისიის წევრები განსაზღვრავენ საბოლოო შეფასებას. საბოლოო შეფასებაში დისერტაციის შეფასება აისახება 2/3, ხოლო დისერტაციის დაცვის – 1/3 თანაფარდობით.

4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს კომისიის გადაწყვეტილებას. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს სადისერტაციო კომისიის საბოლოო წერილობით გადაწყვეტილებას.
5. თუკი დისერტაცია არ იქნა დაცული, დაცვის გამეორება შესაძლებელია მომდევნო 6 თვის განმავლობაში. დისერტანტის განცხადება განმეორებითი დაცვის თხოვნით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში წარდგენილი უნდა იყოს დაცვის შედეგების ზეპირად გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

მუხლი 25. დისერტაციის გამოქვეყნება

1. წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსია დისერტანტმა გამოსაქვეყნებლად უნდა გადასცეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას დაცვიდან 3 თვის განმავლობაში.
2. ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების შემთხვევაში დისერტაციის 10 ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადაეცემა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს დაცვიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 26. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დისერტაციის წარმატებით დაცვისა და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ პირს მიენიჭება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი - doctoris iuris (შეესატყვისება PhD in Law) რაც დადასტურებული იქნება მისთვის სამართლის დოქტორის დიპლომის გაცემით.
2. პირი უფლებამოსილია იწოდებოდეს სამართლის დოქტორად მისთვის სამართლის დოქტორის დიპლომის გადაცემის შემდეგ. გამონაკლისის სახით, იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია სამართლის დოქტორის დიპლომის გაცემამდე პირს მიანიჭოს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხით სარგებლობის უფლება დისერტაციის გამოქვეყნების შესახებ თსუ-ის გამომცემლობასთან დადებული ხელშეკრულების წარმოდგენილი ასლის წარდგენის საფუძველზე.

თავი IV. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 27. შეთანხმება სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე

სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

მუხლი 28. განცხადება დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ

1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.
2. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

მუხლი 29. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. დაცვას უნდა ესწრებოდეს ერთი ხელმძღვანელი მაინც.
2. პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობას განაცხადებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის დასკვნას.
3. თუ სადისერტაციო საქმის წარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, გამოიყენება პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.

მუხლი 30. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

1. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, სადაც განხორციელდა დისერტაციის დაცვა.
2. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ დისერტაცია დაცულია პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით.

მუხლი 31. გამოქვეყნება

გადაწყვეტილება დისერტაციის გამოქვეყნების შესახებ მიიღება ამ დებულების ან პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი დებულების მოთხოვნათა შესაბამისად. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემამდე დოქტორანტმა დისერტაციის 30 ეგზემპლარი უნდა წარუდგინოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

მუხლი 32. დისერტაციისა და მისი დაცვის ენა

დისერტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად ან პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

თავი V. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

მუხლი 33. საპატიო დოქტორის წოდება

1. სამართალმცოდნეობის სფეროში განსაკუთრებული სამეცნიერო დამსახურების მქონე პირს შეიძლება მიენიჭოს სამართლის საპატიო დოქტორის – *doctor iuris causa (Dr.iur.h.c.)* – აკადემიური წოდება.
2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე იღებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 34. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების ამოქმედებამდე იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხული დოქტორანტების მიერ მოპოვებული კრედიტები და შესრულებული სხვა სამუშაოები გადახედვას არ ექვემდებარება.
2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხული თსუ-ისა ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებსაც საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები ჩაბარებული აქვთ 1999-2006 წლებში თავისუფლდებიან ამ დებულებით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისაგან და ამ დებულების მე-20 მუხლით გათვალისწინებული სხვა წინაპირობის შესრულების შემდეგ შეუძლიათ წარადგინონ დისერტაცია დასაცავად.
3. დოქტორანტები, რომლებსაც დისერტაცია სადისერტაციო საბჭოში წარდგენილი აქვთ 2007 წლის ივნისამდე, წარმოადგენენ გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად მიღებულ სტატიას საერთაშორისო რეცენზირებისათვის. დისერტაციის დაცვა შედგება ამ სტატიაზე დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ.
4. ამ დებულების ამოქმედებამდე იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხულ დოქტორანტთათვის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაწესებული ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულება.
5. სასწავლო კომპონენტის ამ დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ელემენტების შესრულება სავალდებულოა მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში 2008/2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ან ამის შემდეგ ჩარიცხული დოქტორანტებისათვის.
6. დოქტორანტებს, რომლებსაც ამ დებულების ამოქმედებამდე არც ერთი კრედიტი არა აქვთ მოპოვებული, შეუძლიათ კოლოკვიუმისათვის მოამზადონ და დაიცვან 35-40 გვერდიანი სასემინარო ნაშრომი, რომელიც 30 კრედიტით შეფასდება, ხოლო დანარჩენი კრედიტები მოიპოვონ ამ დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი ელემენტების მოთხოვნათა შესრულებით. ამ შემთხვევაში სასემინარო ნაშრომის თემა არ უნდა შეადგენდეს დოქტორანტის დისერტაციის ნაწილს.
7. დოქტორანტებმა, რომლებმაც 30 კრედიტი სასემინარო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის საფუძველზე მოიპოვეს, დანარჩენი კრედიტები უნდა მოიპოვონ ამ დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი ელემენტების მოთხოვნათა შესრულებით.
8. იურიდიული ფაკულტეტის ყველა დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ამ დებულების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ადგენს

ინდივიდუალურ სასწავლო ან/და კვლევით გეგმებს და ერთ ეგზემპლარს გადასცემს იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

მუხლი 35. დასკვნითი დებულება

ეს დებულება ძალაში შედის 2008/2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

დანართი №1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორს

ბატონ ----------

0128 თბილისი,

ჭავჭავაძის გამზირი, 1

განმცხადებლის სახელი, გვარი

მისამართი:

ტელ:

ელ.ფოსტა:

განცხადება დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ

ბატონო ----------,

გთხოვთ ჩამრიცხოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში.

ჩემ მიერ შერჩეული სადისერტაციო თემაა: ----------

(თემის სახელწოდება)

თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობა განაცხადა პროფესორმა (ასოცირებულმა პროფესორმა)

ვადასტურებ, რომ ვაკმაყოფილებ დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ ჩარიცხვის წინაპირობებს.

ღრმა პატივისცემით, ხელმოწერა, თარიღი

დანართები:

- პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- განმცხადებლის ავტობიოგრაფია, (CV ფოტოსურათით);
- სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი;
- ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში, ან უარი არ ეთქვა მას სხვა უმაღლეს სასწავლებელში დოქტორანტურაში მიღებასა და/ან მის მიერ შერჩეული თემის დამუშავებაზე;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული

ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დანართი №2

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“,

ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში.
B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არააკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.

საუბარი

სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.

წერა

ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექპერიმენტისა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.
კითხვა

მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას.
მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი.
ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არააკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება.
ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას.
მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.

მოსმენა

სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

<u>გერმანული ენა</u>	Goethe-Zertifikat B2
<u>ინგლისური ენა</u>	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam -- Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pitman ESOL Intermediate
	TOEIC – 541
	TOEFL – 500 (paper-based) 173 (computer-based) 61 (internet-based)

ფრანგული ენა	Diplôme de Langue Française (DL) (AF)
	Diplôme d' Etudes en Langue Française DELF/B2 (CIEP)

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათავისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ამ ენებში გამოცდისაგან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე.
გერმანულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის კანდიდატები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultusminister 2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის.

დანართი №3

ფორმა 3

ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ (პროფესორის ასისტენტობა)

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

შესრულებული	დახარჯული დროის	დოქტორანტის მიერ	შეფასება

სამუშაო	მოცულობა	დაგროვილი კრედიტების რაოდენობა[1]	
სემინარი	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლაბორატორიული სამუშაო	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
პრაქტიკუმი	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლექცია "საბავშვო	საკონტაქტო საათების		

[1] ამა თუ იმ აქტივობაზე დახარჯული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე და მიიღება შესაბამისი კრედიტი.

უნივერსიტეტში”	რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:		
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის გასწორებაზე დახარჯული დრო: სულ:		
საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის რეცენზირებაზე დახარჯული დრო: სულ:		
ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის	მომზადებული მასალის მოცულობა:		

მასალების მომზადება	მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:		
საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე დახარჯული დრო: სულ:		
ტუტორობა	სტუდენტთა კონსულტაციაზე დახარჯული დრო:		
სხვა			

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

პროფესორის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის

მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დანართი №4

ფორმა 1

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სასწავლო	კრედიტების შესაძლო	დოქტორანტის მიერ	შეფასება (“ჩაეთვალა”/“არ

კომპონენტი	რაოდენობა	დაგროვილი კრედიტების რაოდენობა	ჩაეთვალა”)
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5-15 კრედიტი		
აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდებისა და ხერხების კურსი	10-20კრედიტი		
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი		
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	5-25 კრედიტი		
პრაქტიკა	5-10 კრედიტი		
საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	5-15 კრედიტი		
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	5-60 კრედიტი		
პროფესორის ასისტენტობა	5-10 კრედიტი		
სპეციფიკური დარგობრივი კურსები	5-15 კრედიტი		
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	15-30 კრედიტი		

დოქტორანტის II კოლოკვიუმი	15-30 კრედიტი		
სხვა			

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის

/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დანართი №5

ფორმა 2

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: _____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის

/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დანართი №6

საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოადგენიოსა და მათი შეფასები წესი

1. სტატიის სარეცენზიოდ წარდგენა

- წარმოსადგენი სტატიების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადიესერტაციო საბჭოდ დებულებით.
- საერთაშორისო რეცენზირებისათვის დოქტორაანტმა უნდა წარმოადგინოს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტური დისკით.
- იმ შემთხვევაში, თუ სტატია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სტატიის თარგმანი, რომელიმე ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტური დისკით). სტატიის თარგმანის ელექტრონული ვერსიის ტექნიკური გაფორმება (შრიფტის ზომა, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების საზღვრების და ა.შ) არ არის მკაცრად განსაზღვრული.
- სტატიის ნაბეჭდ ვერსიას თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია ქართულად და დარგის სპეციალისტის (რომელიც არ უნდა იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი) წერილობითი დასკვნა სტატიის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე (შუამდგომლობა სტატიის სარეცენზიოდ გასაგზავნად).
- დოქტორანტი და სტატიის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ხელს აწერენ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება სტატიის მიღება და სტატიის ჩაბარების თარიღი. დოკუმენტის ასლი ინახება დოქტორანტთან სტატიის რეცენზირების დასრულებამდე.

2. რეცენზენტები

- დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სტატია ეგზავნება არანაკლებ ორ უცხოელ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია, როგორც სტატიის გაგზავნისას, ასევე რეცენზიის მიღების შემდგომ პერიოდში.

3. შეფასების სისიტემა

1. სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
2. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმები გათვალისწინებით:
   ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალურობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი,. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე
   ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის დრულად განვითარება.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომოწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე, წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რადმენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

2. თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანკლებ 12 ქულა, დაკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

4. შედეგების გაცნობა

1. ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი თსუ პერსონალისა და სტუდენტებისათვის, გარდა მეორე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.
2. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.